ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა

(გეოგრაფიული სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა და შეისწავლა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ შუა ფარცხმაში მდებარე მე-12 ქუჩისთვის გრიგოლ მეგრელიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. წარმოდგენილი ინიციატივა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილების 2015 წლის 1 ივნისის №239ნბ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. ინიციატივა წარმოდგენილია კანონით დადგენილი წესით.

პროექტს თან ერთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, გრიგოლ მეგრელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ქუჩის ორტოფოტო. განსახილველი მასალები გამოქვეყნებულია საჯაროდ და ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ წარმოთქმულა.

განხილვის შედეგად კომისიას ინიციატივის და თანდართული მასალის განხილვის, საჭირო ინფორმაციების მოძიებისა და შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ შუა ფარცხმაში მდებარე მე-12 ქუჩისთვის გრიგოლ მეგრელიშვილის სახელის მინიჭების შესახებ და დასაშვებად სცნო მასალები განკარგულების პროექტთან ერთად გადაგზავნილ იქნას გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა

(გეოგრაფიული სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა და შეისწავლა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. წარმოდგენილი ინიციატივა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილების 2015 წლის 1 ივნისის №239ნბ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. ინიციატივა წარმოდგენილია კანონით დადგენილი წესით.

პროექტს თან ერთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, ფილიპე მგალობლიშვილის საქართველოს ტერიტორიული მთლანობისთვის ბრძოლისა და დაღუპვის შესახებ დოკუმენტები, ქუჩის ორტოფოტო. განსახილველი მასალები გამოქვეყნებულია საჯაროდ და ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ წარმოთქმულა.

განხილვის შედეგად კომისიას ინიციატივის და თანდართული მასალის განხილვის, საჭირო ინფორმაციების მოძიებისა და შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N9 ქუჩისთვის ფილიპე მგალობლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ და დასაშვებად სცნო მასალები განკარგულების პროექტთან ერთად გადაგზავნილ იქნას გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში.